პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 8 მაისი, 1943 წ. № 101 (6726). ფასი 20 კაპ.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

7 მაისის დილის ცნობა

6 მაისის ღამის განმავლობაში ყუბანში, ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგესთან. ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი არაფერი მომხდარა.

* * *

ყუბანში, ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, საბჭოთა არტილერისტებმა, რომელნიც ქვეითს ჯარს ეხმარებოდნენ, მოსპეს გერმანელთა 2 ტანკი, ჩააჩუმეს 20 საარტილერიო ბატარია და 30-ზე მეტი სატყვიამფრქვევი წერტი, დაანგრიეს მტრის მრავალი ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი. მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოსდის ცოცხალი ძალის მხრივ. საბჭოთა ქვეგანაყოფის მიერ დაკავებულ ერთ დასახლებულ პუნქტში დათვლილ იქნა მტრის 350-ზე მეტი გვამი. სხვა დასახლებულ პუნქტში გერმანელებმა 200-მდე დაჭრილი ჯარისკაცი და ოფიცერი დასტოვეს.

მეორეხავმა მაიორმა ამხ. სემენიშინმა ერთს საპაერო ბრძოლაში ჩამოაგდო გერმანელთა 2 ავიგამანადგურებელი „მესერშმიტ-109“. უფროსმა ლეიტენანტმა ამხ. დრიგინმა ჩამოაგდო 2 „ინუკერს-88“.

* * *

კალინინის ფრონტზე მზვერავთა ჯგუფი უფროს ლეიტენანტ პოლიალოვის მეთაურობით შევიდა მტრის განლაგებაში და მოსპო ბლინდაჟში მყოფი 10 ჰიტლერელი. ჩვენმა ბერძოლებმა ტყეების ფამოიყვანეს და დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

* * *

ლენინგრადის ოლქში ჩვენმა არტილერისტებმა მოსპეს მოწინააღმდეგის საამარი მასალის საწყობი, დაანგრიეს 3 ბლინდაჟი და 2 ძელმიწური საცეცხლე წერტი, ჩაახშეს 3 სანაღმტყორცნო ბატარეის ცეცხლი და გადასასვლელზე ჩასძირეს 4 ნავი გერმანელ ჯარისკაცებიანად.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით 6 ნაწილის სნაიპერებმა ორი კვირის განმავლობაში 238 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაუხლიტეს. სნაიპერმა ამხ. კალაშნიკოვმა გაუხლიტა 18 ჰიტლერელი, სნაიპერმა ამხ. უვაროვმა—16.

ახალგაზრდა სნაიპერებმა ამხ. ზვიადგინცევმა, სტარშინამ. მურატოვმა და რუსინოვიჩმა ჯგუფი უმცროს ლეიტენანტ კოზლოვის მეთაურობით ზურგში მოეტანა მოწინააღმდეგეს და სამხრეთ-დასავლეთიდან შევიდა ხუტორში. ბრძოლის შედეგად ჩვენმა ქვეგანაყოფებმა რამდენიმე ათეული გერმანელი მოსპეს და ხუტორი დაიკავეს.

* * *

ჩუგუევის ჩრდილოეთით ჩვენმა მზვერავმა რაზმმა მდინარე სევერნი დონეცი გადალახა და თავს დაესხა გერმანელ ჯარისკაცებს, რომელნიც თავდაცვის სამუშაოებს ეწეოდნენ. ჩვენმა მზვერავებმა 35 ჰიტლერელი მოსპეს, ხელთ იგდეს ტყვეები და თავიანთ ნაწილში დაბრუნდნენ.

* * *

ვოლხოვის ფრონტზე მტერთან ბრძოლა სწარმოებდა. ჩვენმა არტილერისტებმა დაანგრიეს მტრის 22 ძელმიწური, 7 ბლინდაჟი, მოსპეს 4 ქვემეხი, აფეთქეს საწყობი საამარ მასალიანად და გადასასვლელზე ჩასძირეს 5 ნავი გერმანელ ჯარისკაცებიანად.

* * *

ყიტომირის ოლქში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ჩახერგა რკინიგზის ხაზი. რამდენიმე ხნის შემდეგ ამ ადგილთან გერმანელთა ეშელონი გაჩერდა. საბჭოთა პატრიოტები ვაგონებში შეიჭრნენ და 60 ჰიტლერელი გაუხლიტეს. შემდეგ პარტიზანებმა ცეცხლი წაუკიდეს ეშელონს და რამდენიმე ადგილას აფეთქეს რკინიგზის ლიანდაგი. როვნოს ოლქში პარტიზანთა ჯგუფი თავს დაესხა რკინიგზის სადგურს. პარტიზანებმა მოსპეს მცველები, გააუვარგისეს სადგურის ნაგებობანი და ლიანდაგები.

* * *

ქ. ჟორსკის მიდამოებში ვიპოვნეთ რამდენიმე საფლავი, რომლებშიც დამარხულია გერმანელების მიერ მოკლულ საბჭოთა მოქალაქეების გვამები. ამ დღეებში ადგილ „სოლიანკაში“ აღმოჩენილ იქნა ჰიტლერელების მიერ ნაწამებ და დახვრეტილ მცხოვრებთა 45 გვამი. ნათესავებმა გამოიცნეს: სადგურ კურსკის მთავარი კონდუქტორი სტეფანე ობუხოვსკი, სამხედრო მოსამსახურის ცოლი ოლგა ტიუულენევა, ქარხნის საბანძრო დაცვის უფროსი გაბრიელ ბელიაევი, ტყავის ქარხნის მუშა ალექსანდრე ტესლენკო, პენსიონერი ალექსანდრე გონოშვილი, ასოთამწყობი ვასილ კიზილოვი და სხვები. დაბა შუკლინკაში იპოვნეს მშვიდობიან მოქალაქეთა 77 გვამი, რომელთა შორის გამოიცნეს: სოფელ ბუკრეევკის გლეხი ვასილ ყილენკოვი, სოფელ მეშკოვოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ანდრია სერგეევი, კასინოვკის მტს-ის მეკუმბნავე პეტრე ლარინი, ბელიაგინის მტს-ის დირექტორი გიორგი ხოროშევი, მასწავლებელი ევდოკია ლეხტერი და მისი სამი ბავშვი.

ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲔᲚᲩᲘ Ბ-Ნ Ა. Კ. ᲙᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲗ

7 მაისს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ი. ბ. სტალინმა მიიღო დიდი ბრიტანეთის ელჩი ბ-ნი ა. კ. კერი. საუბარს დაესწრო საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ვ. მ. მოლოტოვი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲧᲛᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲐᲔᲠᲝᲓᲠᲝᲛᲔᲑᲖᲔ

ამ უკანასკნელ დღეებში გერმანიის სარდლობამ ფრონტისპირა აეროდრომებზე დიდძალ ავიაციას მოუყარა თავი. 6 მაისს ჩვენმა საჰაერო ძალებმა მძლავრად დაარტყეს მოწინააღმდეგის აეროდრომებს. გერმანელთა აეროდრომებზე თავდასხმებში მონაწილეობას იღებდნენ საბჭოთა ბომბდამშენების, მოიერიშეებისა და გამანადგურებლების დიდი შენაერთები.

ჩვენი საჰაერო ძალების დარტყმის შედეგად გერმანიის ავიაციამ დიდი დამარცხება განიცადა. მოწინააღმდეგის აეროდრომებზე და საჰაერო ბრძოლებში მოსპობილი და დაზიანებულია გერმანელთა 350 თვითმფრინავი. ჩვენ 24 თვითმფრინავი დავკარგეთ.

ᲡᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚ-ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲘ

პროფკავშირთა სრულიადსაკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნომ და საკავშირო ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტეს, ჩაატარონ 23 მაისიდან 14 ივნისამდე საზეიმო პროფკავშირულ - კომკავშირული კრებები.

წელს საზეიმო კრება ტარდება, როგორც სამხედრო-ეროვნულ მომზადებაში მშრომელთა ჩაბმის, მასობრივი ღონისძიება. იგი გამოაცალინებს საუკეთესო ფიზიკურად ორგანიზაციებს. კრების პროგრამაში: დასერილ ადგილზე რბენა იმშო და მვთ კომპლექსის I და II საფეხურის ნორმების მიხედვით, ბრანაღის ტყორცნა სიმორეზე, პლასტუნური ხოხვა და ა. შ.

კრებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად შექმნილია ცენტრალური საორგანიზაციო კომიტეტი. ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში იქმნება ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტები. (საკავშირო).

საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. ა. ი. ვიშინსკის განცხადება ინგლის-ამერიკის პრესის წარმომადგენელთადმი მოსკოვში ა. წ. 6 მაისს

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურთიერთობის თაობაზე ინგლის-ამერიკის პრესის ზოგიერთი წარმომადგენლის მხრივ შემოსული შეკითხვების გამო, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის დავალებით, საჭიროდ მიმაჩნია გაავცნოთ ზოგიერთი ფაქტსა და მომენტს, რომელიც ამ საკითხს შეეხება.

ეს ამჟამად მით უფრო საჭიროა, რომ პოლონეთის ახლანდელმა მთავრობამ, მასში და პოლონეთის პრესაში მყოფი პროჰიტლერული ელემენტების გავლენით, გამოიწვია საბჭოთა კავშირის მთავრობის ცნობილი გადაწყვეტილება—შეეწყვიტა ურთიერთობა პოლონეთის მთავრობასთან, ხოლო პოლონეთის ოფიციალური პირები, პოლონეთის პრესა და პოლონეთის რადიო კვლავ მრავლად ავრცელებენ ყალბ განცხადებებს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურთიერთობის საკითხზე. ამასთან ისინი ხშირად იმით სარგებლობენ, რომ ფართო საზოგადოებრივი წრეები გაცნობილი არ არიან ნამდვილ ფაქტებს, რომლებიც ამ ურთიერთობას შეეხება.

1. პოლონელთა ჯარის ნაწილების შესახებ, რომლებიც სსრ კავშირში ყალიბდებოდა. 1941 წლის 30 ივლისს პოლონეთ-საბჭოთა კავშირს შეთანხმების დადებისთანავე დაწყებულ იქნა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე პოლონელთა არმიის ჩამოყალიბება საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სარდლობას შორის იმავე წლის 14 აგვისტოს დადებული სამხედრო შეთანხმების შესაბამისად. ამავე დროს, საბჭოთა და პოლონეთის სარდლობის შეთანხმებით, პოლონელთა არმიის საერთო რიცხვი განსაზღვრულ იქნა 30.000 კაცის რაოდენობით, ამასთან, გენერალ ანდერსის წინადადების შესაბამისად, მიზნად წარმოდგენილ იქნა აგრეთვე მიჩნეული, რომ, როგორც კი მომზადდებოდა ესა თუ ის დივიზია, დაუყოვნებლივ გაგზავნილიყო საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე.

საბჭოთა სამხედრო ხელისუფლება, საბჭოთა მთავრობის მითითებით, ყოველნაირად უწყობდნენ ხელს პოლონეთის სარდლობას, რომ რაც შეიძლება მალე გადაეწყვიტა პოლონელთა ნაწილების ჩამოყალიბების დაჩქარებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი და მთლიანად გაათანაბრეს პოლონელთა არმიის მომარაგება წითელი არმიის იმ ნაწილების მომარაგებასთან, რომელნიც ჩამოყალიბების პროცესში იყვნენ. პოლონელთა არმიის ჩამოყალიბებასა და შენახვასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად საბჭოთა მთავრობამ პოლონეთის მთავრობას მისცა უპროცენტო სესხი 65 მილიონ მანეთის რაოდენობით, რაც მერე, 1942 წლის 1 იანვრის შემდეგ, 300 მილიონ მანეთამდე იქნა გადიდებული. ამ თანხებს გარდა, რაც საბჭოთა მთავრობამ გამოჰყო, 15 მილიონ მანეთზე მეტი დაუბრუნებელი დახმარება მიეცა პოლონელთა ჯარის, იმ ნაწილების ოფიცერთა შემადგენლობას, რომლებიც ყალიბდებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ, თუმცა პოლონელთა არმიის რიცხვობრივი შემადგენლობა თავდაპირველად განსაზღვრული იყო 30.000 კაცის რაოდენობით, ამის მიუხედავად, 1941 წლის 25 ოქტომბრისათვის, პოლონელთა არმიაში უკვე 41.561 კაცი ირიცხებოდა, რომელთა შორისაც 2.630 ოფიცერი იყო. საბჭოთა მთავრობა თანაგრძნობით შეხვდა პოლონეთის მთავრობის წინადადებას, რომლითაც 1941 წლის დეკემბერს მოგვმართა გენერალმა სიკორსკიმ, რომ პოლონელთა არმიის კონტინგენტი კვლავ გადიდებულიყო 96.000 კაცამდე. ამ გადაწყვეტილების გამო პოლონელთა არმია 6 დივიზიის შემადგენლობით სდგებოდა და, გარდა ამისა, გადაწყდა 30.000 კაცამდე გადიდებულიყო ოფიცერთა სკოლის, სათადარიგო ნაწილებისა და არმიის გაძლიერების ნაწილების შემადგენლობა, რაც თავდაპირველად 3.000 კაცის რაოდენობით იყო განსაზღვრული. პოლონეთის მთავრობის სურვილის შესაბამისად, მთელი არმია გადაყვანილ იქნა სსრ კავშირის სამხრეთ რაიონებში,—რაც, უმთავრესად, ნაკარნახევი იყო კლიმატური პირობებით, სადაც ბანაკების მშენებლობა გაჭიანურდა და მოთავსებულ იქნა შტაბები, სამხედრო სკოლები, სასანიტარო დაწესებულებანი და სხვ.

ომიანობის დროის მძიმე პირობების მიუხედავად, 1942 წლის თებერვალში პოლონეთის არმია უკვე დასახული დივიზიების შემადგენლობით ჩამოყალიბდა და მასში 73.415 კაცი ითვლებოდა. მაგრამ, მიუხედავად პოლონეთის სარდლობის არაერთგზის დაპირებისა რაც შეიძლება მალე აემოქმედებინა თავისი ნაწილები, ფაქტიურად ამ ნაწილების ფრონტზე წასვლის ვადა განუწყვეტლივ გადაიდებოდა ხოლმე. პოლონელთა არმიის ჩამოყალიბების დასაწყისში, მის მზადყოფნის ვადად განსაზღვრული იყო 1941 წლის 1 ოქტომბერი, ამასთან პოლონეთის სარდლობა აცხადებდა, რომ იგი მზადშეწონილად სთვლის ჩამოყალიბების კვალობაზე ჰეზავნის ფრონტზე თავისი ცალკეული დივიზიები, თუმცა ცალკეული ნაწილების მომზადება იგვიანებდა, მაინც, თუ 1 ოქტომბერს არა, ცოტა უფრო გვიან სრული შესაძლებლობა იყო ამ განზრახვის შესრულებისა. მაგრამ ეს განზრახვა შესრულებულ არ იქნა და პოლონეთის სარდლობას ერთხელაც კი არ დაუცავამს საკითხი პოლონელთა ჩამოყალიბებული დივიზიების საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გაგზავნის შესახებ. საბჭოთა მთავრობა შესაძლებლად არა სთვლიდა დაეჩქარებინა პოლონეთის სარდლობა ამ საქმეში მაგრამ მაინც პოლონელთა ნაწილების ჩამოყალიბების დაწყებიდ 5 თვის შემდეგ, სახელდობრ, 1942 წლის თებერვალში, საბჭოთა მთავრობა დაინტერესდა, თუ როდის დაწყებულან ბრძოლას პოლონელთა ნაწილები ჰიტლერელების წინააღმდეგ. ამასთან დასახელებულ იქნა მე-5 დივიზია, როგორც ისეთი, რომელმაც თავისი მომზადება უკვე დაამთავრა. საბჭოთა მთავრობა ამ კითხს რომ სვამდა, უწინარეს ყოვლისა ემყარებოდა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის 1941 წლის 14 აგვისტოს სამხედრო შეთანხმების პირველპირსა და ნათელ დებულებებს; ამ შეთანხმების მე-7 პუნქტში ნათქვამი იყო: „პოლონელთა არმიის ნაწილები ფრონტზე გაგზავნებიან სრული საბრძოლო მომზადების მიღწევის შემდეგ. ისინი, როგორც წესი, გამოვლენ შეიარაღებად არა უმცირეს დივიზიისა და გამოყენებულ იქნებიან სსრ კავშირის უმაღლესი სარდლობის ოპერატიული გეგმების შესაბამისად“.

სამხედრო შეთანხმების ესოდენ კატეგორიული მიზითების მიუხედავად, გენერალმა ანდერსმა პოლონეთის მთავრობის სახელით შემდეგში განაცხადა, რომ იგი სასურველად არა სთვლის ბრძოლაში გამოიყენოს ცალკეული დივიზიები, თუმცა სხვა ფრონტებზე პოლონელები ბრიგადებადაც კი იბრძოდნენ. გენერალმა ანდერსმა აღგვითქვა, რომ პოლონელთა მთელი არმია მზად იქნება მონაწილეობა მიიღოს გერმანელებთან საომარ მოქმედებაში 1942 წლის 1 ივნისისათვისო. ცნობილია, რომ არც 1 ივნისს, არც გაცილებით უფრო გვიან პოლონელთა სარდლობას და პოლონეთის მთავრობას არ გამოუჩენიათ მზადყოფნა პოლონელთა არმია საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გაეგზავნათ საომარი მოქმედებისათვის. უფრო მეტიც, პოლონეთის მთავრობამ ფორმალურადაც სთქვა უარი გაეგზავნა თავისი ნაწილები საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ამ მოტივით, რომ „ცალკეული დივიზიების გამოყენება არაფერს არ მოგვცემს“ და რომ „ერთი დივიზიის შესაძლო საბრძოლო მომზადება ჩვენს მოლოდინს არ გაამართლებსო“ (გენერალ სიკორსკის 1942 წლის 7 თებერვლის დეპეშა).

ამავე დროს, იმ გარემოებამ, რომ სსრ კავშირს სრულად ვერარ აწვდიდნენ საჭირო წყარო ოკეანეში ომის დაწყების შედეგად, გამოიწვია იმ ულუფის ოდენობის შემცირების საჭიროება, რაც არამემარი ჯარის ნაწილებს ეძლეოდათ, რათა უზრუნველყოფილიყო მეომარი ჯარების მომარაგება. რამდენადაც პოლონელთა სარდლობას არავითარი სურვილი არ გამოუჩენია პოლონელთა თუნდაც რომელიმე სამხედრო ნაწილები გაეგზავნა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე და ისინი კვლავ ღრმა ზურგში ჰყავდა. საბჭოთა მთავრობა, ბუნებრივია, იძულებული იყო ეს ნაწილები განეიარაღა როგორც არამეომარი ჯარები, რის შედეგადაც მათზე გავრცელებულ იქნა გადაწყვეტილება არამეომარი ჯარის ნაწილებისათვის სურსათის ულუფის შემცირების შესახებ.

ამის გამო, საბჭოთა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება—1942 წლის 1 აპრილიდან შეეცვალა სურსათის ულუფის რაოდენობა 44.000-მდე და ნება დაერთო, პოლონეთის მთავრობის სურვილის შესაბამისად, ირანში გაეყვანათ პოლონელთა ნაწილები იმ 44.000 კაცის გარდა, რომლებიც საბჭოთა კავშირში დარჩნენ. ეს ევაკუაცია ჩატარებულ იქნა 1942 წლის მარტში, როცა სსრ კავშირიდან გავიდა 31.488 სამხედრო მოსამსახურე, მათთან ერთად წასვლის ნება მიეცა აგრეთვე 12.455 კაცს—პოლონელ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების წევრებს.

პოლონეთის მთავრობა, უარს ამბობდა რა გაეგზავნა თავისი არმია საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, ამავე დროს ცდილობდა მიეღო საბჭოთა მთავრობის თანხმობა სსრ კავშირის ტერიტორიაზე პოლონელთა არმიაში დამატებითი გაწვევის შესახებ. დამატებითი გაწვევის წინადადებასთან ერთდროულად, პოლონეთის მთავრობამ საბჭოთა მთავრობას მიმართა ნოტით, რომელშიც ლაპარაკობდა პოლონელთა ჯარის ნაწილების ისეთ გამოყენებაზე, რაც სხვას არას ნიშნავდა, თუ არა უარს იმაზე, რომ გამოეყენებინა ისინი საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე.

ამ ნოტის პასუხად (1942 წლის 10 ივნისის თარიღით) საბჭოთა მთავრობამ აცნობა პოლონეთის მთავრობას, რომ, ვინაიდან, წინაადმდეგ სსრ კავშირის და პოლონეთის შეთანხმებისა, პოლონეთის მთავრობას შესაძლებლად არ მიაჩნია სსრ კავშირში ჩამოყალიბებული პოლონელთა ნაწილები გამოიყენოს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, ამიტომ საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია მისცეს სსრ კავშირში პოლონელთა ნაწილების შემდგომი ჩამოყალიბების ნებართვა.

მაშინ დასმულ იქნა საკითხი სსრ კავშირიდან ახლო აღმოსავლეთში პოლონელთა არმიის სრული ევაკუაციის შესახებ და 1942 წლის აგვისტოში დამატებით ევაკუირებულ იქნა 44.000 პოლონელი სამხედრო მოსამსახურე.

ამნაირად, ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა ჯარებთან ერთად პოლონელთა ჯარების საერთო ბრძოლაში მონაწილეობის საკითხი პოლონეთის მთავრობის მიერ მოხსნილ იქნა დღის წესრიგიდან. პოლონეთის მთავრობამ ეს საკითხი გადაუწყვიტა უარყოფითად, მიუხედავად თავისი თავდაპირველი დაპირებებისა, მიუხედავად 1941 წლის 4 დეკემბრის დეკლარაციაში გაკეთებული საზეიმო განცხადებისა იმის შესახებ, რომ „პოლონეთის რესპუბლიკის ჯარები, განლაგებულნი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, საბჭოთა ჯარებთან ხელიხელჩაკიდებულნი იომებენ გერმანელ ავაზაკთა წინააღმდეგ“.

მეორე ევაკუაციის წინ პოლონელთა არმიის სარდლობამ ითხოვა, რომ პოლონელთა არმიის ნაწილებთან ერთად გამგზავრებულიყო 20-25 ათასი კაცი—პოლონელ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრნი. საბჭოთა მთავრობამ ეს თხოვნა დააკმაყოფილა. ფაქტიურად კი 1942 წლის 1 სექტემბრისათვის ევაკუირებულ იქნა 25.301 კაცი—პოლონელ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრი. ამგვარად, ჯერ კიდევ 1942 წელს, 75.491 პოლონელ სამხედრო მოსამსახურეს გარდა, სსრ კავშირიდან გაემგზავრა სულ 37.756 კაცი — მათი ოჯახის წევრნი.

უკანასკნელ ხანს პოლონეთის ელჩმა ბ-მა რომერმა აღძრა საკითხი იმის შესახებ, რომ დამატებით გამგზავრებულიყო სსრ კავშირიდან 110 კაცი—პოლონელ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრი, რომელთაც ევაკუაციის მომენტისათვის საევაკუაციო პუნქტებზე მისვლა ვერ მოასწრეს. საბჭოთა მთავრობამ ეს საკითხი დადებითად გადასწყვიტა. პოლონელ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების ევაკუაციის შესახებ არავითარი სხვა წინადადებით არ მოუმართნია საბჭოთა მთავრობისათვის არც პოლონელთა არმიის სარდლობას, არც პოლონეთის საელჩოს.

ყოველგვარი მტკიცება, ვითომც საბჭოთა ხელისუფლები წინააღუდგნენ ან ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირიდან პოლონეთის ქვეშევრდომთა გამგზავრებას, რომელთა რაოდენობაც ნამდვილად დიდი არ არის, აგრეთვე პოლონელ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების წევრთა გამგზავრებას, რომელნიც საბჭოთა კავშირიდან გაემგზავრნენ, სიცრუეს წარმოადგენს.

ყოველივე ზემოხსენებული მოწმობს, რომ საბჭოთა მთავრობის მხრივ მიღებული იყო ყოველგვარი ღონისძიება, რაც უზრუნველყოფდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე პოლონელთა არმიის წარმატებით ჩამოყალიბებასა და გაფართოებას.

1941 წლის 30 ივლისის შეთანხმებამ და 1941 წლის 4 დეკემბრის დეკლარაციამ საბჭოთა მთავრობას და პოლონეთის მთავრობას საგანგებით გარკვეული და ნათელი ამოცანა დაუსახა—გაეერთიანებინათ საბჭოთა ხალხისა და პოლონეთი ხალხის ღონისძიებანი, ჰიტლერელი ყაჩაღებისა და ოკუპანტების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისათვის, შეექმნათ ამ დიადი იდეით გამსჭვალული პოლონელთა არმია და შესაძლებლობა მიეცათ მისთვის წ�ომელ არმიასთან მხარდამხარ ებრძოლნა თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის.

საბჭოთა მთავრობამ, რაც კი საჭირო იყო, ყველაფერი გააკეთა ამ ამოცანის გადასაწყვეტად. პოლონეთის მთავრობა სხვა გზით წავიდა. მან არ მოისურვა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გაეყვანა თავისი დივიზიები, უარი განაცხადა გამოეყენებინა გერმანელების წინააღმდეგ ამ ფრონტზე პოლონელთა ნაწილები საბჭოთა ჯარების მხარდამხარ, და ამით თავი აარიდა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

სსრ კავშირის ტერიტორიაზე პოლონელთა არმიის ჩამოყალიბების საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა აგრეთვე შევეხო შემდეგს:

უკრაინელი და ბელორუსი ხალხების ნებასურვილით უკრაინასა და ბელორუსიის დასავლეთ ოლქების უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკასთან და ბელორუსიის საბჭოთა რესპუბლიკასთან გაერთიანების შემდეგ 1939 წლის 29 ნოემბერს გამოცემულ იქნა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება, რომლის ძალითაც, მოქალაქეობის სრულიადსაკავშირო კანონმდებლობის შესაბამისად, ამ ოლქების მცხოვრებლებმა საბჭოთა მოქალაქეობა მოიპოვეს. როგორც უკვე აღვნიშნე, საბჭოთა მთავრობისა და პოლონეთის მთავრობის ურთიერთობის აღდგენისა და 1941 წლის 14 აგვისტოს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის სამხედრო შეთანხმების დადების შემდეგ, საბჭოთა მთავრობამ მთელი რიგი ღონისძიებანი გატარა ყოველსაყოფად საბჭოთა მთავრობის ტერიტორიაზე პოლონელთა არმიის ჩამოყალიბებისა და ასაადვილებლად. ამ არმიის ჩამოყალიბებისათვის ხელის შესაწყობად და კადრებით მისი უზრუნველსაყოფად საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ 1939 წლის 29 ნოემბრის ბრძანებულების გამონაკლისად, იგი მზად არის პოლონელ მოქალაქეებად ჩასთვალოს დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მცხოვრები პოლონელი ეროვნების პირნი. საბჭოთა მთავრობის მხრივ ამ კეთილმოსურნეობისა და დათმობის გამოვლენების მიუხედავად, პოლონეთის მთავრობა, რომელიც დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ტერიტორიების მიმართ თავის „არაკანონიერ პრეტენზიებით ხელმძღვანელობდა, უარყოფითად შეხვდა საბჭოთა მთავრობის ამ აქტს და არ დაამაყოფილდა ამით. ამავე დროს, როგორც წინათ უკვე ვთქვი, პოლონეთის მთავრობამ ჯერ კიდევ 1942 წლის აგვისტოში გაიყვანა სსრ კავშირიდან თავის ჯარის ნაწილები, და ამით მოისპო იმის საჭიროება, რომ კვლავ ჩამოყალიბებულიყო პოლონელთა ჯარის ნაწილები საბჭოთა ტერიტორიაზე. ზემოაღნიშნული გარემოების გამო, მოისპო პოლონელი ეროვნების პირთა მიმართ იმ გამონაკლისის საჭიროება, რაზედაც თანხმობა განაცხადა საბჭოთა მთავრობამ 1941 წლის დეკემბერში. ამიტომ 1943 წლის 16 იანვარს საბჭოთა მთავრობამ პოლონეთის მთავრობას აცნობა, რომ მისი წინანდელი განცხადება, რომ მზად არა-ს დაუშვებ 1939 წლის 29 ნოემბრის ბრძანებულების გამონაკლისი პოლონელი ეროვნების ზემოაღნიშნულ პირთა მიმართ, ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს, და მოქალაქეობის შესახებ საბჭოთა კანონმდებლობის დადგენილებათა ძალზე გაუფრთხილებლობის შესაძლებლობის საკითხი მოხსნილად უნდა ჩაითვალოს.

ასეთია ფაქტები, რომლებიც სავსებით აშუქებენ სსრ კავშირის ტერიტორიაზე პოლონელთა სამხედრო ნაწილების ჩამოყალიბებისა და საბჭოთა კავშირიდან ამ ნაწილების გაყვანის გარემოებას.

II. იმ პოლონელი ოჯახებისათვის დახმარების ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც ევაკუირებული იყვნენ გერმანელი დამპყრობლების მიერ დაკავებული რაიონებიდან. საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურთიერთობის აღდგენის მომენტიდანვე 1941 წლის ზაფხულში საბჭოთა მთავრობა ხალისით უწყობდა ხელს პოლონეთის მთავრობას იმ პოლონელ მოქალაქეებისათვის დახმარების მოწყობის საქმეში, რომლებიც სსრ კავშირის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობამ ნება დართო საბჭოთა კავშირის ბევრ ქალაქში გაეხსნათ პოლონეთის საელჩოს წარმომადგენლობანი. ასეთი წარმომადგენლობანი გახსნილ იქნა საბჭოთა კავშირის 20 პუნქტში. საელჩოს ადგილობრივ წარმომადგენლებს ეკისრებოდათ მატერიალური დახმარება აღმოჩინათ პოლონელი მოქალაქეებისათვის. ამ დახმარებას უწევდნენ, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა მთავრობის მიერ ამ მიზნისათვის მიცემული 100 მილიონი მანეთი სესხიდან, გარდა იმ 300 მილიონი მანეთი სესხისა, რაც უკვე მოხსენებული იყო. ეს დახმარება ეძლეოდათ აგრეთვე პოლონეთის საელჩოს სახსრებიდან და საზღვარგარეთიდან საელჩოს განკარგულებაში შემოსული შემოწირულებიდან.

საბჭოთა მთავრობამ შესაძლოდ ჩასთვალა, საბჭოთა კავშირის 20 პუნქტში საელჩოს სპეციალურ წარმომადგენლობათა დაწესებასთან ერთად, დაეშვა აგრეთვე საელჩოს მიერ ეგრეთწოდებული ნდობით აღჭურვილი პირების დანიშვნა. 1943 წლის 1 იანვრისათვის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი დაეთანხმა პოლონეთის საელჩოს დანიშნა 421 ნდობით აღჭურვილი პირი, რომელთაც ადგილობრივი ორგანოები ყოველგვარ დახმარებას უწევდნენ ბუშაობაში.

ამნაირად, პოლონეთის საელჩოს საშუალება მიეცა საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე მოეწყო თავის წარმომადგენელთა ფართო ქსელი, რომელთა მეშვეობით მას შეეძლო განეხორციელებინა სისტემატიური დახმარება გაჭირვებული პოლონელი მოქალაქეებისათვის და მათზე მოეხდინა გავლენა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის თანამშრომლობის სულისკვეთების მიხედვით და ამისათვის გამოეყენებინა ისეთი საშუალებებიც, როგორიც არის პოლონეთის საელჩოს მიერ, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ხელშეწყობით, გაზეთ „პოლსკას“ გამოცემა.

საელჩოს წარმომადგენლებს, ისევე როგორც ნდობით აღჭურვილ პირებს, საბჭოთა ხელისუფლებამ შეუქმნა ყველა პირობა მათს წინაშე დასმული ამოცანების ყველაზე უფრო წარმატებით შესრულებისათვის.

საბჭოთა მთავრობამ პოლონელ მოქალაქეთათვის დახმარების იმავე მიზნით განახორციელა აგრეთვე მთელი რიგი დიდი საფინანსო და სამეურნეო ღონისძიებანი, რომლებიც მიმართული იყო ხელმოკლე პოლონელ მოქალაქეთათვის მატერიალური დახმარების გაძლიერებისაკენ. საბჭოთა მთავრობამ სპეციალური სასურსათო ფონდები გამოჰყო პოლონურ საქველმოქმედო დაწესებულებათათვის და შეადგინინა სარკინიგზო ტარიფით სწარმოებდა პოლონელ მოქალაქეთათვის განკუთვნილი ტვირთის გადაზიდვა. საბჭოთა ხელისუფლების მიერ სრული დახმარებით საელჩომ მოაწყო 589 საქველმოქმედო დაწესებულება (სასადილოები, საბავშვო სახლები, საბავშვო ბაღები, ინვალიდთა სახლები და სხვ.). ამრიგად, საბჭოთა მთავრობის მხრივ მიღებულ იქნა

ქვემო ურალის ნიკელის კომბინატის მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კოლექტივის მიმართვა ფერადი მეტალურგიის სანარმოთა ყველა მუშაკისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

1943 წლის საპირველმაისო ბრძანებაში ამხანაგმა სტალინმა ჩვენს მამაც წითელ არმიას, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელს დიუსაზა ახალი საბრძოლო ამოცანები—მზად იყვნეს საძულველი მტრის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლებისათვის.

„...ომი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ მოითხოვს, რათა წითელმა არმიამ მიიღოს კიდევ უფრო მეტი ქვემეხები, ტანკები, თვითმფრინავები, ტყვიამფრქვევები, ავტომატები, ნაღმსატყორცნები, სამარი მასალები, საჯურველი, სურსათი. მაშასადამე, აუცილებელია, რომ მუშები, კოლმეურნეები, მთელი საბჭოთა ინტელიგენცია გაორკეცებული ენერგიით მუშაობდნენ ფრონტისათვის“.

ჩვენთვის, ფერადი მეტალურგიის მუშაკებისათვის, უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ბრძანების შესრულება იმას ნიშნავს, რომ მივცეთ ჩვენს ქვეყანას, ფრონტს იმდენი ფერადი ლითონი, რამდენიც აუცილებელია გერმანელი ფაშისტი ოკუპანტების სრული განადგურებისა და მოსპობისათვის.

სამხრეთ ურალის ნიკელის კომბინატის კოლექტივმა, რომელსაც სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების პერიოდში არა ერთხელ ეკავა მოწინავე ადგილი ფერადი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის საწარმოთა შორის, თებერვალში მიიღო უაღრესად საპატიო ჯილდო—თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და შეინარჩუნა ეს დროშა მარტში.

აპრილშიც—წინასამაისო სოცშეჯიბრების შემაჯამებელ თვეში—ჩვენმა კოლექტივმა გულმოდგინე შრომით მიაღწია მუშაობის მაღალ მაჩვენებლებს და მთავარი სარდლობის განსაკუთრებულ ფონდს მისცა სამი დღე-ღამის პროდუქცია ომის გადამეტებით, მარტში მიცემული ორი დღე-ღამის პროდუქციის ნაცვლად, დაზოგა სათბობის, ელექტროენერგიისა და ქიმპროდუქტების მნიშვნელოვანი რაოდენობა.

1943 წლის გასული ოთხი თვის მანძილზე ჩვენ ლითონის გამოშვება 2,2-ჯერ გავადიდეთ 1942 წლის სათანადო თვეებთან შედარებით.

ჩვენი ნებისყოფა და მონდომება მიმართულია იქითკენ, რომ კიდევ უფრო გავადიდოთ ფერად დ ი შვიათ ლითონთა გამოშვება. ამისათვის ჩვენ უფრო სრულად უნდა გამოვიყენონ მთელი ჩვენი საწარმოო რეზერვები.

ჩვენ შემდეგ სოციალისტურ ვალდებულებებს ვკისრულობთ:

1) 1943 წლის 24 თებერვლისათვის შეავსრულოთ მეორე კვარტალის გეგმა;

2) სულ ცოტა 60 პროცენტით გავადიდოთ ამოღებული მადნისა და მდნობთა რაოდენობა პირველ კვარტალთან შედარებით;

3) დავზოგოთ 1943 წლის მეორე კვარტალში სულ ცოტა 3.000 ტონა კოქსი, 350 ტონა მაზუთი, 1 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია;

4) სულ ცოტა 2 პროცენტით გავადიდოთ ლითონის ამოღება;

5) 5 პროცენტით შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება პირველ კვარტალთან შედარებით;

6) წარმატებით დავამთავროთ 1942 წელთან შედარებით გადიდებული გეგმა საგაზაფხულო თესვის კამპანიისა. ჩვენს დამხმარე მეურნეობაში, ჩავატაროთ ყველა საჭირო აგროტექნიკური ღონისძიება, რათა მთლიანად უზრუნველყოთ კომბინატის კოლექტივის მოთხოვნილება ბოსტნეულსა და კარტოფილზე.

ჩვენ მოვუწოდებთ ფერადი მეტალურგიის საწარმოთა ყველა მუშას, ინჟინერს, ტექნიკოსსა და მოსამსახურეს კიდევ უფრო ფართოდ გაეჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება მადნის ამოღებისა და ფერადი და იშვიათი ლითონების გამოშვების შემდგომი, განუწყვეტელი ზრდისათვის, იკისრონ კონკრეტული სოციალისტური ვალდებულებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ მეორე კვარტალის გეგმის ვადამდე შესრულებას.

მოვაწყოთ შეჯიბრება საუკეთესო მბურღველის, მბურღველის, მებიგისა და ექსკავატორთა მემანქანის წოდებაზე; გამაუხვებელი ფაბრიკის საუკეთესო კლასიფიკატორისა და ფლოტატორის წოდებაზე; საუკეთესო მეტურის, ჭლნობელის, მეელექტროლიზეს და მეგაზანის წოდებაზე; ვატერ-ჟაკეტის, არაცლვითი ღუმელებისა და კონვერტერების საუკეთესო ოსტატის წოდებაზე; საუკეთესო მსხმელისა და მვალცავის წოდებაზე.

ძვირფასო ამხანაგებო—ფერადი მეტალურგიის მუშაკებო!

მთელი ჩვენი ძალ-ღონე, ჩვენი ენერგია მივახმაროთ იმას, რომ მივცეთ ჩვენს ქვეყანას, ფრონტს მეტი ნიკელი, სპილენძი, ალუმინი, ტყვია, კალა, ვოლფრამი, მოლიბდენი და სხვა ფერადი და იშვიათი ლითონები.

მთელი ჩვენი ძალების დაძაბვით დავეხმაროთ წითელ არმიას—გაანადგუროს მტერი.

ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით, წინ, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა გასანადგურებლად და ჩვენი სამშობლოს საზღვრებიდან მათ გასადევნად!

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ ბელადს, უმაღლეს მთავარსარდალს, საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ სტალინს!

ქვემო ურალის ნიკელის კომბინატის კოლექტივის სპირველმაისო მიტინგის დავალებით: კომბინატის დირექტორი მალინინი, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგი პასკევიჩი, ქარხკომის თავმჯდომარე კამენევი, საკ. ალკ კომიტეტის მდივანი გორელინი, კომბინატის სამთამადნო სამმართველოს უფროსი სპივაკოვი, საამქროთა უფროსები და სტახანოველები—დროზდოვი, აბლიხინი, ტურჩაკი, ტომასოვი, რუსაკოვი.

ფაშისტთა ტრანსპორტის დაღუპვა

მოქმედი ფლოტი, 5 მაისი (საკადესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ცარიელია ცივი ზღვა, ქარი გუგუნებს და პერისკოპი არაფერი სჩანს, გარდა მოწენდილი ჰორიზონტისა, თუმცა აკუსტიკოსი ჟუჩკოვი ბეჯითად ატარებს ჰიდროფონის ტარს. არაფერი არა სჩანს. ზღვაში მტრის ხომალდები არ არის, არ ისმის ის განსაკუთრებული ხმაურობა, რომელიც ვერაფერს ვერ შეედრება და რომლის გაგონებაზეც აკუსტიკოსი მოახსენებს: „ტრანსპორტის ხრახნების ხმაურია“. მოწმენდილია ჰორიზონტი, ერთფეროვანი და მოსაწყენია ქარისა და ზღვის გმნვა. თუმცაღა, ნავს ზოგჯერ გერმანელები ბომბავენ. სიღრმის ბომბების გასკდომისაგან ყურებში საშინელი წვიალი და ზრიალი გაისმის. დაბომბვა საათობით გრძელდება. აკუსტიკოსი, პერიოდულად მოახსენებს მეთაურს, თუ სად არის მტერი. მეთაურს დაბომბვის ზონიდან გამოჰყავს ნავი. ერთხელ მესიგნალე სოკოლა მტრის წყალქვეშა ნავი შენიშნა. მეთაურმა ბრძანება გასცა სასწრაფოდ დაეყვინთათ და იერიშზე გაეგმართა. მაგრამ გერმანელმა მოჰკურცხლა. მალე კვლავ შეხვდნენ მტრის წყალქვეშა ნავს. კვლავ დაყვინთეს და დიდხანს იარეს ზღვის სიღრმეში, სანამ არ დასცილდნენ ერთმანეთს. ბოლოს ჟუჩკოვი მოახსენებს: „მესმის ტრანსპორტის ხრახნების ხმაური“.

ზღვის ზედაპირზე პერისკოპი გამოჩნდება. მეთაური ხედავს: მოდის ნაღმოსანი, მას საყარაულო გემი მოსდევს, შემდეგ — დიდი ტრანსპორტი. მარჯვე მანევრით ნავი ბადრაგის რგოლს შიგნით გაჩნდება. აი ეს არის მეთაურის საყვარელი ხერხი, იერიში დამბაჩის სასროლ მანძილზე. ზღვის ზედაპირზე საფი ბი აფეთქების ხმა გადაივლის გრიალით. 12 ათასი ტონა ეშვება ცივი ზღვის ფსკერზე. დამთავრდა ფაშისტთა ტრანსპორტის ცხოვრება. ნავის ნაწილებში კი მხიარული ხუმრობა გაისმის, ან რატომ არ უნდა იცინონ, არ უნდა იხუმრონ იმით, ვინც ზუსტად და მარჯვედ გაისროლა ტორპედები, — იუდაეგმა და კულკოვმა, ელექტრიკოსმა კაჩინმა, ბოცმანმა ზავიალოვმა, მეტრიუმეთა ჯგუფის ზუმდეგმა ტაბაჩკოვმა.

ნავი ბაზაში მიდის. ძლევამოსილად და ამაყად ჰკეთავს ზღვის ცივ წყალს ფორშტევენი.

იური გერმანი

თესვის გეგმების შესრულება

ზესტაფონის რაიონში სოცშეჯიბრების ფარგოდ გაშლის შედეგად 4 მაისისათვის ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულა საგაზაფხულო თესვის გეგმა. დათესილია 7.815,5 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7.780 ჰექტარისა. გეგმა შესრულებულია 100,5 პროცენტით.

თავდაცვისა და ძმური დახმარების ფონდისათვის დათესილია 100 ჰექტარი.

ვენახების საგაზაფხულო სამუშაოები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შესრულებულია 100 პროცენტით. წითელარმიელთა ოჯახების დიდ უმრავლესობას უკვე დაუმუშავდათ საკარმიდამო ნაკვეთები.

ბაღხოვლებული მუშაობა მიმდინარეობს მოსავლის გადიდების ღონისძიებათა გატარებისათვის. მუშაობა დაწყებულია და პირველი ივნისისათვის მზად იქნება სარწყავი არხი, რომელიც მორწყავს რამდენიმე ასეულ ჰექტარს.

თესვა გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომის მდივანი
ს. საყვარელიძე

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
ვ. ბერაძე

* * *

ჭიათურის, რაიონის კოლმეურნეობებმა ვადაზე ადრე—5 მაისისათვის დაამთავრეს საგაზაფხულო კულტურების თესვა. საგაზაფხულო კულტურები დათესილია 10.772 ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10.770 ჰექტარისა. თესვის გეგმა შესრულებულია 100,2 პროცენტით. თესვა გრძელდება.

რაიონის მშრომელებმა დაწესებულ ვადაზე ორი თვით ადრე 100,4 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების ნახევარი წლის გეგმა.

საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის მდივანი
ხიდაშელი

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
გიწაძე

* * *

ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებმა წინასამაისო სოცშეჯიბრების გაჩაღების შედეგად 4 მაისისათვის შეასრულეს მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა. დათესილია 4.220 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.210 ჰექტარისა. გარდა ამისა, შესრულებულია კარტოფილის, ახუსალათინის, მზესუმზირას თესვის გეგმები.

გაბხოვლებით მიმდინარეობს მუშაობა თამბაქოს რგვაზე. დაიწყო სიმინდისა და ლობიოს ნათესების პირველი თხნა.

საქ. კ. პ. (ბ) ყვარლის რაიკომის მდივანი
ციხისთავი

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
ჯაშიაშვილი

* * *

შირაქის მტ.-მა სატრაქტორო სამუშაოთა ხახეავარი წლის გეგმა პირველი მაისისათვის 109 პროცენტით შეასრულა. რბილ ხვნაზე გადაყვანილ მოხნულია 4.907 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.518 ჰექტარისა. საგაზაფხულო ხვნის გეგმა შესრულებულია 176 პროცენტით.

საგაზაფხულო სამუშაოების გეგმების წარმატებით შესრულებაში თავი ისახელეს გიორგი წოკლაურის, პავლე ბაინდურაშვილის, ლაზარე ბაინდურაშვილის, ალექსანდრე აფციაურის სატრაქტორო ბრიგადებმა.

შირაქის მტ.-ის დირექტორი კაჭარავა
პოლიტგანყოფილების უფროსი ჭელიძე

საჩხერის რაიონის კოლმეურნეობებმა სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად 30 აპრილისათვის მთლიანად შეასრულეს საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა. დათესილია 13.699 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 13.695 ჰექტარისა. თესვა გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) საჩხერის რაიკომის მდივანი
ქარჩხაძე

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
მოდებაძე

* * *

ხულოს რაიონის კოლმეურნეობებმა წინასამაისო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად 5 მაისისათვის მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებით და გადაჭარბებით შეასრულეს მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა. დათესილია 2.934 ჰექტარი მარცვლეული კულტურები, ნაცვლად გეგმით დაწესებული 2.760 ჰექტარისა. გეგმა შესრულებულია 106,3 პროცენტით.

მარცვლეულის თესვა წარმატებით ჩაატარეს დღვანის (აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ფუტკარაძე), ღორჯომის (აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ირემაძე), რიყეთის (აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. კოჩალიძე) და ყარაღერეს (აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მიქელაძე) საბოლოო საჭეროებამ.

მარცვლეული კულტურების თესვა გრძელდება. წარმატებით მიმდინარეობს კარტოფილის, ბოსტნეულის და სხვა კულტურების თესვა.

საქ. კ. პ. (ბ) ხულოს რაიკომის მდივანი
ტაკიძე

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
მამულაძე

* * *

ასპინძის რაიონში მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა შესრულა 100,3 პროცენტით. დათესილია მარცვლეული 8.278 ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8.250 ჰექტარისა. კარტოფილის დარგვის გეგმა შესრულებულია 105 პროცენტით. კარტოფილი დარგულია 946 ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 900 ჰექტარისა. რაიონის კოლმეურნეებმა სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად წელს საგაზაფხულო თესვა ჩაატარეს უფრო ორგანიზებულად და 15 დღით ადრე შარშანდელთან შედარებით.

გეგმის გადამეტებით თავდაცვისა და ძმური დახმარების ფონდისათვის დათესილია 79 ჰექტარი. კოლმეურნეებმა იკისრეს ვალდებულება გეგმის გადამეტებით გამოზარდონ 134 სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი, 292 სული ცხვარი და 4 სული ღორი ფაშისტ დამპყრობთაგან დაზარალებულ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა დასახმარებლად. თესვა გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ასპინძის რაიკომის მდივანი
ძეგისაშვილი

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
ჩალაგოვი

* * *

ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობებმა 5 მაისისათვის მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა შეასრულეს 100,3 პროცენტით, შაქრის ჭარხლის თესვის გეგმა—100 პროცენტით. მთავრდება ბოსტნეულ-ბაღჩეული და საკვები კულტურების თესვა. დაწყებულია თამბაქოს მასობრივი გადარგვა.

საქ. კ. პ. (ბ) ბოლნისის რაიკომის მდივანი
კოზერიძე

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
ულიმვი

ი. დავითაიას მესანგრეთა ჯგუფის ოსტატობა

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

გაზეთ „იზვესტიას“ 20 აპრილის ნომერში მოთავსებულია ამხ. სტეპანოვის კორესპონდენცია სათაურით „მესანგრეთა მიერ გაკეთული გზით“. ამხ. სტეპანოვი სწერს:

მებრძოლთა ჯგუფი, რომელსაც გამოცდილი მესანგრე იოსებ დავითაია მიუძღოდა, წავიდა სტანიციდან პასუხსაგები ამოცანის შესასრულებლად. ჰაერში ხშირად ელვენ გამაშუქებელი რაკეტები. როცა ისინი სულ ახლოს ენთებიან, მესანგრეები მიწას გაეკვრიან ხოლმე. დავითაია ხელში იღებს მაკრატელს. მესანგრეები მიადგნენ გერმანელთა დაბრკოლებებს, სჭრიან ეკლიან მავთულხლართს. დროდადრო მებრძოლები ყურს მიუგდებენ ხოლმე, შემდეგ კვლავ იწყებენ მუშაობას. შეუმჩნევლად გავიდა მთელი საათი. მავთულხლართების პირველი ზოლიდან ბუჩქნარამდე და ტყისპირამდე 50-70 მეტრია დარჩა. ჯგუფის მეთაური აფრთხილებს მებრძოლთ, შეიძლება აქ გერმანელთა მიერ დანაღმული არეები იყოსო. მუშაობა უხდებათ ხელისცეცებით, განსაკუთრებული სიფრთხილით. მესანგრეებმა ბევრი ნაღმი ამოიღეს და გააუვნებლეს და უკან გამობრუნდნენ. უეცრად გაისმა ტყვიამფრქვევის მოკლე ჯერი, შემდეგ აკაკანდა მეორე ტყვიამფრქვევი. პატარა მაღლობზე გამოჩნდა გერმანელთა ოდნავ გასარჩევი სილუეტები. მესანგრეებსაც სწორედ ეს უნდოდათ მათ ჩაინიშნეს მოწინააღმდეგის ორი სატყვიამფრქვევო წერტილ, ნაღმსატყორცნთა ბატარეა და ბლინდაჟი. დილით ჩვენმა არტილერისტებმა გრიგალისებური ცეცხლი დაუშინეს გერმანელთა პოზიციებს. ქვეითი ჯარი წავიდა იერიშზე მესანგრეთა მიერ დამით გაკაფული გზით, მიაღწია მტრის ზღუდეს და დაიკავა იგი.

ვ. ყარა-მურზა

ყუბანის ჭალებში

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

„პრავდის“ პირველი მაისის ნომერში დაბეჭდილია მაკარენკოს კორესპონდენცია საათაური „ყუბანის ჭალებში“, რომელშიც აწერილია ყუბანის ჭალებში წარმოებული ბრძოლები. ამ რაიონში მოქმედი ჩვენი ჯარების ოპერაციები აღსავსეა მამაცობის, გმირობისა და მოსაზრებულობის მაგალითებით. ჩვენი მეომრებისათვის ბრძოლის ჩვეულებრივი ფორმაა ღამით დარტყმა. ერთი ასეთი დარტყმის შესახებ მაკარენკო გვიამბობს შემდეგს:

„ლეიტენანტ კიკნაძის ასეულმა იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის დასაყრდენ პუნქტზე. მებრძოლებმა ისარგებლეს ღამის წყვდიადით, წვრილ-წვრილ ჯგუფებად გავიდნენ ფლანგიდან წყალში, რომელიც მათ წელამდე სწვდებოდა, თავი მოიყარეს მეორე ნაპირზე და დაიწყეს იერიშისათვის მზადება. ბრძოლისათვის მზადება სრულ სიჩუმეში სწარმოებდა. ბრძანებათა გაცემა ხდებოდა პირობითი ნიშნებით. ასეულმა მთლიანად რომ მოიყარა თავი, კიკნაძემ გასცა ბრძანება დაეწყოთ იერიში. მებრძოლებმა მძლავრად დაარტყეს გერმანელებს ფლანგიდან, უკუაგდეს ისინი, სწრაფად ჩასანგრდნენ და მტაციედ გამაგრდნენ ზღუდეზე. გერმანელებმა წინ წამოწიეს დამკვრელი ჯგუფი, ნაღმსატყორცნებისა და ტყვიამფრქვევების საფარ ქვეშ სამჯერ მიიტანეს კონტრიერიში კიკნაძის მებრძოლებზე, მაგრამ ვერ გაუძლეს საპასუხო ზალპებს, სამჯერვე უკუგდებულ იქნენ და შემდეგ ბლინდაჟებში მიიმალნენ. მაშინ მებრძოლები ხოხვით მივიდნენ ძელმიწურ საცეცხლე წერტებთან და გრანატებით აიფეთქეს ისინი. მოწინააღმდეგის ცეცხლი შენელდა. ასეული წამოდგა და სწრაფი კვეთებით ხელი იგდო გერმანელთა ზღუდე“.

ვ. ყარა-მურზა

დეპეშები

საომარი მოქმედება ჯუნისში

ლონდონი, 7 მაისი (საკადესი). მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის ჯარების შტაბი იუწყება, რომ შეტევა, რომელიც დაიწყო გუშინ პირველმა არმიამ მეჯეზ-ელ-ბაბის აღმოსავლეთით, წარმატებით ვითარდება. პირველი არმიის ჯარები მტკიცედ დამკვიდრდნ ყველა დაკავებულ ზღუდეზე, ჯავშანსატანკო ძალებმა კი განახორციელეს ახალი მნიშვნელოვანი წინსვლა ტუნისისაკენ. მოწინააღმდეგეს მნიშვნელოვანი ზარალი მოსდის ადამიანებისა და ტექნიკის მხრივ. ფრონტის ჩრდილოეთ უბანზე ამერიკელთა მეორე კორპუსმა დაიკავა 4 მნიშვნელოვანი პუნქტი, და ამერიკის ჯარების მოწინავე ნაწილები ამჟამად ბიზერტიდან 15 კილომეტრზე ნაკლებ მანძილზე არიან. ამ სექტორში უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში ამერიკელებმა ხელთ იგდეს 1.000-ზე მეტი ტყვე. სამხრეთში მერვე არმიამ ადგილობრივი იერიში მიიტანა საუფის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სექტორში.

საფრანგეთის ჩრდილოეთ აფრიკის ძალთა შტაბი იუწყება, რომ ფრანგთა კორპუსის წინსვლა სანაპირო სექტორში ბიზერტის მიმართულებით წარმატებით ვითარდება.

რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ გუშინ დილით პირველი და მეორე არმია და ამერიკელთა მეორე კორპუსი შეტევაზე გადავიდნენ. გაფთრებული ბრძოლის შედეგად, რაც რამდენიმე დღეს გრძელდება, პირველი არმიის ჯარებმა ბრძოლით წაიწიეს წინ ჯებელ-ბუ-აუვაზის მაღლობისაკენ, გარეკეს იქიდან მოწინააღმდეგე, საკუთრივ გასწმინდეს მაღლობი მტრისაგან და მტაციედ ინარჩუნებენ მას. ინგლისელებს უკავიათ პოზიციები, საიდანაც ჩანს ტუნისის წინა ეკე.

აფის სააგენტო გადმოგვცემს, რომ დღეს დილით ამერიკის ჯარები ფერივილში შეიჭრნენ.

ალჟირის რადიოს უკანასკნელი ცნობით, მოკავშირეთა ჯარებმა ბიზერტისა და ტუნისის გარეუბნებში შეაღწიეს.

მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს ჯუნისი და ბიზერტა

ლონდონი, 7 მაისი (საკადესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი, რომელიც მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის შეიარაღებული ძალების შტაბთან იმყოფება, გადმოგვცემს, რომ, ოფიციალური ცნობის თანახმად, მოკავშირეთა ჯარებმა ტუნისი და ბიზერტა დაიკავეს.

ინგლისის წყალქვეშა ნავების მოქმედება ხმელთაშუა ზღვაში

ლონდონი, 2 მაისი (საკადესი). როგორც ინფორმაციის სამინისტრო გვიმეორებს, ჩრდილოეთ აფრიკაში მოკავშირეთა გადასხდომის დროიდან ინგლისის წყალქვეშა ნავებმა ხელთაშუა ზღვაში ჩასძირეს ან დაზიანეს მტრის 204 გემი, მათს რიცხვში ბევრი ტანკერი და გემები, რომლებიც დატვირთული იყვნენ ტუნისში მყოფი მტრის ჯარებისათვის განკუთვნილი სამხარი მასალით, სურსათითა და სამხედრო საჭურველით.

ინგლისელ წყალქვეშა ნავების მოქმედება მტრის საკომუნიკაციო ხაზებზე წინააღმდეგ სულ უფრო ინტენსიური ხდება იმდენად, რამდენადაც ბრძოლა ტუნისში დასასრულს უახლოვდება.

ინგლისის წყალქვეშა ნავები სახმელეთო ბრძოლაშიც კი იღებდნენ მონაწილეობას, უშენდნენ სტრატეგიულ რკინიგზებს, გზატეხილებსა და ხიდებს, რომლებსაც მტრის არმიები ჩრდილოეთ აფრიკაში იყენებენ.

ანგლიელთა ჯარი ფუჩეცლები იგაღიის საწარმოებში

სტამბოლი, 1 მაისი (საკადესი). იტალიურმა გაზეთმა „რეჯიმე ფაშისტამ“ მოთავსა სტატია, რომლითაც მოუწოდებს გადამწყვეტ ღონისძიებათა მიღებისაკენ „მტრული ელემენტების“ წინააღმდეგ, რომლებიც იტალიის საწარმოებში დიდძალ არალეგალურ ფურცლებსა და ბროშურებს ავრცელებენ და იტალიელებს მოუწოდებენ—მუსოლინის ხელისუფლება დაამხეთ და ომი შესწყვიტეთო. გაზეთი განსაკუთრებით არის აღშფოთებული იმის გამო, რომ ზოგიერთ ფურცელში ნათქვამია, ინგლისელების მიერ იტალიის ქალაქების დაბომბვის მიზანია საბოლოო დარტყმა აგვმოს მუსოლინის მთავრობისო.

ამერიკის შეიარაღებულმა ძალებმა რუსეთის კუნძულები დაიკავეს

ნიუ-იორკი, 5 მაისი (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო სამინისტროს კომუნიკე იუწყება, რომ თებერვალში, კუნძულ გვადალკანარზე იაპონელთა წინააღმდეგობის შეწყვეტიდან რამდენიმე ხნის შემდეგ, ამერიკის შეიარაღებულმა ძალებმა დაიკავეს რუსეთის კუნძულები (80 მილზე გვადალკანარის ჩრდილო-დასავლეთით) ისე, რომ წინააღმდეგობას არ შეხვედრიან.

რუსეთის კუნძულების ჯგუფი, რომელიც დაახლოებით 20 მილზეა გადაჭიმული აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ორი მთავარი და მრავალი მცირე კუნძულისაგან შესდგება.

უცხოეთის ქრონიკა

1 მაისს გააფთრებული საარტილერიო სროლა სწარმოებდა ლა-მანშზე ორივე მხრივ. სროლა დაიწყო ინგლისის მძიმე არტილერიამ, რომლის სროლასაც პასუხი გასცეს გერმანიის შორსმსროლელმა ქვემეხებმა. მტრის არტილერიის ყუმბარები დუვრის ახლოს სკდებოდა.

მადაგასკარსა და კუნძულ რეიუნიონზე სწარმოებს საფრანგეთის რესპუბლიკური კანონმდებლობის აღდგენა.

* * *

1941 წლის 15 მარტიდან ა. წ. 27 მარტამდე სამხრეთ აფრიკის კავშირის ნავსადგურებში შეკეთებული იყო მოკავშირეთა 6.428 გემი.

* * *

გერმანელების მხრივ ახუჩად აგდების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, ბელგრადში (იუგოსლავია) ამას წინათ საყოველთაო გაფიცვა მოხდა. ორი დღის განმავლობაში ქალაქში დახურული იყო არა მარტო ქარხნები, არამედ ყველა მაღაზიაც. ქალაქის ქუჩებში ანტიგერმანული დემონსტრაციები მოხდა. გესტაპოელებმა დაჰაბიმრეს 1.500 კაცი, ვათგან 90 დახვრიტეს.

* * *

ავსტრიის დედაქალაქი ვენა გერმანელებმა ქალაქ-ლაზარეთად აქციეს. ვენის ქუჩები სავსეა გერმანელი ინვალიდებითა და დაჭრილი ჯარისკაცებით. ყველა სკოლა გადაკეთებულია ლაზარეთად.

„ასეთი შეიძლება გახდეს ყოველი გერმანელი“

გერმანულმა ფაშისტურმა გაზეთმა „ფრანკფურტერ ციტუნგმა“ ამ დღეებში მოთავსა ფოტოსურათი. ბრძოლამდე შეიარაღებული ორი გერმანელი ჯარისკაცი ვიღაცის მშვიდობიანი ბინის წინ დგას; მათ ავტომატების ლულები მიშვერილი აქვთ კარისაკენ, რომელსაც მესამე გერმანელი ჯარისკაცი კეტით ამტვრევს. სურათს მსხვილი შრიფტით გაკეთებული აქვს წარწერა: „ასეთი შეიძლება გახდეს ყოველი გერმანელი“. გაზეთი ეგზავლებს მოხალისეებს ჰიტლერული არმიისათვის. იგი მოწოდებით მიმართავს 17 წლის ახალგაზრდებს შეეიდნენ არმიაში, უნტერ-ოფიცრის ხარისხის კანდიდატებად.

გერმანიის საბოლოოდ ზნედაცვეთილ და გარყვნილ ახალგაზრდობას გერმანული ფაშისტური გაზეთი ხიბლავს მძარცველებისა და ყაჩაღების კარიერით, რომლებიც იარაღით ხელში უვარდებიან სხვის სახლში. შედით არმიაში, იქ დაუსჯელად შეგეძლებათ იქურდოთ, ძარცვოთ, ჰხოცოთ — ეუბნებიან ძველი ფაშისტი მგლები თავიანთ 17 წლის ლეკვებს. შარაგზის ყაჩაღებად გახდომა—ასეთია გერმანელი ახალგაზრდობის უბადრუკი იდეალი, ასეთია მისი ოცნება და მისწრაფება. ასეთია ცხოვრების საგზური ჰიტლერელი ახალგაზრდა კაციჭამიებისათვის.

ვერ ვიტყვით, „ფრანკფურტერ ციტუნგი“ გულახდილი არ არისო. თუმცა, ფაშისტ ავაზაკთა გაზეთი სანახევროდ არის გულახდილი. ომის ვითარებამ ხომ ზოგიერთი ცვლილება შეიტანა გერმანელი ყაჩაღების თავდაპირველ გეგმებში. ისინი ფიქრობდნენ, რომ მთელი კაცობრიობა მორჩილად ასწევდა ხელებს გერმანელი ბანდიტის მიერ მისი მკერდისაკენ მიშვერილი ავტომატის წინაშე. ასე არ გამოვიდა. გერმანულ ფაშისტურ გაზეთს თუ უნდა, რომ სავსებით გულახდილი იყოს, თავისი ფოტოსურათის გვერდით უნდა მოეთავსებინა კიდევ ერთი ფოტოსურათი, რომელზეც გამოსახული იქნებოდა გერმანელთა გვამების გროვები, არყისხის ჯვრების გრძელი მწკრივები იმ გერმანელ ყაჩაღთა საფლავებზე, რომელნიც საბჭოთა მიწაში ლპებიან. ამ ფოტოსურათის ქვეშ უნდა გაეწერებინა იგივე წარწერა, მაგრამ უფრო მსხვილი შრიფტით: „ასეთი შეიძლება გახდეს ყოველი გერმანელი...“.

ა. ლ.

(„პრავდა“).

საქართველოს სსრ განსახკომში

საქართველოს სკოლებში შემოდგომითი გამოცდების ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარმა ამხ. გ. კიკნაძემ დამტკიცა 1942-43 სასწავლო წლის დაწყებით, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში კლასიდან კლასში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია.

გამოცდებისაგან თავისუფლდებიან **1-ლი, მე-2 და მე-3 კლასის მოსწავლენი.** ამ კლასების მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანა ხდება ცოდნის წლიური შეფასების (ნიშნების) საფუძველზე. 1-ლი და მე-2 კლასების მოსწავლეებს, რომელთაც ერთ ძირითად საგანში აქვთ წლიური შეფასება (ნიშანი) „ცუდი“, ხოლო მე-3 კლ. მოსწავლეებს, რომელთაც აქვთ არა უმეტეს ორი „ცუდი“ შეფასებისა, ეძლევათ საზაფხულო დავალება, რომლის შეუსრულებლობისათვის მოსწავლე დატოვებული იქნება იმავე კლასში.

გამოცდებზე არ დაიშვებიან და დატოვებული იქნებიან მეორე წელს მოსწავლეები, რომელთაც ძირითად საგნებში საშზე მეტი „ცუდი“ შეფასება ექნებათ.

საქართველოს სს რესპუბლიკაში ყველა დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების **1-ლ, მე-2 და მე-3 კლასებში** მეცადინეობა მთავრდება **20 მაისს.** ყველა დაწყებით, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლების **მე-4—10 კლასებში** მეცადინეობა მთავრდება **18 მაისს.** შემოწმებითი გამოცდები ტარდება შემდეგ ვადებსა და საგნებში:

ა) ქართული და რუსული სკოლების **მე-4 კლასებში**—20 მაისიდან 26 მაისამდე (ჩათვლით), არაქართულ სკოლებში (სომხური, აზერბაიჯანული, აფხაზური და ოსური სკოლები)—20 მაისიდან 27 მაისამდე (ჩათვლით)—მშობლიურ ენაში (წერა და ზეპირი), რუსულ ენაში (ზეპირი), არითმეტიკაში (წერა) და გეოგრაფიაში; სულ ხუთი გამოცდა, აქედან სამი ზეპირი და ორი წერა.

ბ) ქართული და რუსული სკოლების **მე-5 და მე-6 კლასებში** 20 მაისიდან 31 მაისამდე (ჩათვლით), არაქართულ სკოლებში კი—20 მაისიდან 1 ივნისამდე (ჩათვლით).

მე-5 კლასებში—მშობლიურ ენაში (წერა და ზეპირი), რუსულ ენაში (ზეპირი), არითმეტიკაში (წერა და ზეპირი), გეოგრ